№ 102. 51 მაისი, ხუთშაბათი 1866—1880 15 მაისი, ხუთშაბათი № 102.


**რედაქცია**

რუსების მოედანზე, სუასაზღრის თავში მარცხნივ ტ. ღუარისა (?) და ოუთინსკის სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მკითხველთათვის. Въ Тифлисъ, въ редакціи „Дроэба“-„Иверія“

**„დროება“-„ივერიის“ ფასი**

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.


# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.


**ფასი განცხადებისა**

ერთი ახოებით ახოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ახოებით — ყოველ ახოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ახოთი ახოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.


## ტელეგრამმები

—

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურგი, 13 მაისს.** „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომ უნდა გამოვიდეს მექვსე გამოცემა რკინის გზის (კონსოლიდიროვანნი) ობლიგაციებისა, სულ 15 მილიონის მეტალიურისა, 126 მან. თითო ობლიგაცია, რომელსაც წელიწადში 4% (სარგებელი) ექმნება; ხელის-მოწერის ფასი თითო ობლიგაციისა დანიშნულია $93^3/_2$ მეტალის მანეთი, ანუ ასზე 75 სარგებელი. ხელის-მოწერა მიიღება პეტერბურღში, სახელმწიფო ბანკში მაისის 19, 20 და 21-ს.

**პეტერბურღის ბირჟა, 13 მაისს.**

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა — — | 93 | 75 |
| მეორესი — — — — — | 92 | „ |
| მესამესი — — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. — — | 90 | 50 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 90 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე — | 90 | 73 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — — | 7 | 77 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 226 | 75 |
| მეორე სესხის — — — | 220 | 25 |

| 1 მანეთი ღირს: | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 25—50 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 217—25 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 268—25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 127—60 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | |

### ქალაქის რჩევის განაჩენი

ტფილისი, 14 მაისს.

ჩვენის გაზეთის გუშინდელს ნომერში დაბეჭდილი იყო მოკლე ანგარიში იმ საინტერესო სხდომისა, რომელიც გაელილ ორშაბათს ჰქონდა ქალაქის რჩევას და რომელზედაც რჩევამ განიხილა ხმოსანის ა. ლ. თაიროვის წინადადება გაზ. „მშაკის“ სტატიის შესახებ.

იმ ანგარიშიდამ მკითხველმა უკვე იცის, რომ რჩევის უმეტესმა ნაწილმა თავის „მწუხარება“ გამოაცხადა თაიროვისაგან ამ გვარ წინადადების შემოტანაზედ და გამგეობას კი გამოუცხადა თავის სრული ნდობა და რწმენა.

ჩვენ არ შეუდგებით ახლა იმის განხილვას—რიგიანად თუ ურიგოთ მოიქცა ქალაქის რჩევა, როდესაც ამგვარი განაჩენი დასდო თაიროვის წინადადებაზედ. ჩვენის აზრით, რა კი ქალაქის თავმა და საზოგადოთ გამგეობამ ამ საქმის აღძვრისა-თანავე გამოაცხადეს, რომ იმათ არა ჰსურს „მშაკთან“ პოლემიკა, რომ იმათთვის საჭიროა შეიტყონ—აქვსთ ქალაქის რჩევის ნდობა, თუ არა,—რაკი, ვამბობთ, საქმე ამ მდგომარეობამდინ მიიდა, ქალაქის რჩევას თითქმის სხვა გზა აღარა ჰქონდა—რა, რომ გამგეობისადმი თავის ნდობა არ გამოეცხადებინა.

რჩევას რომ მოეთხოვნა და გამოეცხადებინა, რომ სასურველია ეს საქმე გამოკვლეული იქმნას და ერთის ანუ მეორე მხრის სიმართლე და სიმტყუნე გამოაშკარავებულიყო (როგორც პირველ სხდომაზედ ხმოს. სუნდუკიანცმა და ზოგმა სხვებმაც გამოთქვეს), მაშინ, უეჭველია, „გამგეობის კრიზისი“ იქნებოდა, ე. ი. ქალაქის თავი და სამივე წევრნი გამგეობისა გამოვიდოდნენ სამსახურიდამ და ეს გარემოება ბევრს აშინებდა, რადგან კარგათ ახსოვდათ თუ რამდენი ვაივაგლახი გასწიეს შარშან თავის მოძებნაზედ და ამორჩევაზედ.

ერთის სიტყვით, ზოგმა ამ კრიზისის შიშით, ზოგმა ნამდვილის რწმენით და ზოგმაც სხვა მიზეზებით დასდვეს ის განჩინება თაიროვის წინადადების შესახებ, რომელიც მკითხველმა იცის.

მაგრამ ახლა, როდესაც ეს რჩევის თანაგრძნობა და ნდობა მიიღო გამგეობამ, როდესაც იმას აუსრულეს სურვილი და თითქმის ერთ-ხმად გამოუცხადეს, რომ რასაც თქვენზე ცუდსა და უკადრისს ამბობენ, არა გვჯერაო, ჩვენ თქვენსკენა ვართო, ვამბობთ, რომ ახლა ურიგო არ იქნება გამგეობამ თავის ნებითა და სურვილით გამოაქვეყნოს ეს საქმე.

აი ჩვენი აზრი:

უეჭველია, რომ ქალაქში ზოგიერთნი ცუდი ხმები დადის ახლანდელ ქალაქის გამგეობის წევრებზე. გაზ. „მშაკი“ ამ შემთხვევაში ქვევრის როლს თამაშობდა: რასაც ყოველის მხრიდამ ჩასძახოდნენ, იმანაც ის ამოიძახა.

იქნება მე, ამ სტრიქონების დამწერი, და ჩემთან ათასი სხვაც დარწმუნებული ვართ, რომ ამ ხმებს არავითარი საფუძველი არა აქვთ, რომ ეს სულ ჭორია, რომ ახლანდელ სიძვირეზე გამგეობის წევრთა კერძო საქმეებს და მოქმედებას არავითარი გავლენა არა აქვს. მაგრამ მე და ათასიც სხვა ქალაქს არ შევადგენთ; ბევრნი, ძალიან ბევრნი, როგორც ზევით მოგახსენეთ, სულ სხვა ნაირად ფიქრობენ, სულ სხვა აზრისანი არიან, სულ წინააღმდეგს ამბობენ, ამტკიცებენ.

და ჩვენ გვგონია, რომ ქალაქის გამგეობა ზნეობითად ვალდებულია, რომ ამ გვარ ხალხის აზრსაც მიაქციოს ყურადღება; მიაქციოს ყურადღება ახლაც, თუმცა ქალაქის რჩევამ იმას თავის სრული თანაგრძნობა და ნდობა გამოუცხადა.

ამ გვარს საქმეებში უსაფუძვლო ხმების გაქარწყლება და თავის გამართლება ძალიან ადვილია, თუ კი გამგეობა მოინდომებს. და ეს თავის-გამართლება არ იქნება იძულებული,

## ფელეტონი

—

### მგზავრის შენიშვნები

(მოგზაურობა არაგვის ხეობაში)

(შემდეგი *)

ერთი ახირებული ჩვეულება ჰქონიათ საკლავის დახოცვაზე: თვით ზვარაკის პატრონი არამც თუ არ დაჰკლავს, არც-კი დაიჭერს დასაკლელს მსხვერპლსა. დასაკლავად და დასაჭერად აქ ცალკე მოხელენი არიან—„დასტურები“ და თვით ხევისბერები. „დასტურები“ დაიჭერენ საკლავსა, ხევის-ბერები ყელს გამოჰსჭრიან და ჩააბარებენ პატრონსა. ფრიად გამაკვირვა ხსენებული პირების დახელოვნებამ ცხვრისა და ძროხის ხოცვაში ისრეთის სისწრაფით ჰხოცავენ საკლავსა, რომ თვალს ვერც კი ასწრობ აყვანას, დაჭერასა და ყელის გამოჭრასა. ჩვენებურ ყასბებს ვურჩევ ფშავლებისგან ყასბობის სწავლასა...

„დასტურები“ ხევის-ბერების თანაშემწენი არიან, როგორც ჩვენში დიაჩოკი-მღვდლისა. რადგანაც ამ ჟამად აღკრძალულია ამათი მოხელეობა ხატებში, ეხლა ხევის-ბერები ვითომ მონები არიან ხატისა და დასტურები-კი ხატის ყარაულები...

ჟორეს გარედ, ორმოციოდე ნაბიჯის სიშორეზე სდგას „სალუდე“, აშენებული და დახურული სიპითვე. აქ არის უზარ-მაზარი ქვევრის მსგავსი სპილენძის ქვაბი, რომელშიაც „ლუდასა“ ხდიან დღეობისათვის და აგრეთვე ქორწილებისათვისაც. აქავე არის რამდენიმე სპილენძის თულუხი, თუნგი, ქვაბი, რკინის ზედადგრები, საკიდლები, შამფურები და სხვები... ეს ნივთები შეადგენენ ლაშარის საკუთრებასა.

თუმცა ხევის-ბერებსა და დასტურებს ყოველი უფლებანი ჩამოერთვათ ხატებში, მაგრამ ახლაც კი დიდი გავლენა აქვთ ხალხზედა. ეტყობა, წინანდელს მღვდლებს და ბლაღოჩინებს თავი არ შეუწუხებიათ ამ საქმისათვის... ახლანდელი უკანა-ფშავის მღვდელი, მ. ა. მ—ვი, რომლის სამრეკლოშიაც მდებარეობენ შესანიშნავი ხატები, ყოველს ღონის-ძიებასა ხმარობს ხევის-ბერების გავლენის გაუქმებისათვის და კეთილ-გონიერად და უშიშრად იბრძვის მათ წინააღმდეგ. იგი სცდილობს, სხვათა შორის ეკკლესიის აშენებას ლაშარის მთაზედ... და თუ ბლაღოჩინმა და თიანეთის ადმინისტრაციამ ხელი შეუწყო, ბევრს კეთილს საქმეს შეასრულებს.

აი ვის შეუძლიან ხევის-ბერობა ფშავში: ვინც 32 ცხვარს შესწირავს ხატში, იმას შეუძლიან იმ ხატის ხევის-ბერობა დაირქვას და ხალხიც აღიარებს. ამ გვარის შეწირულობით ბლომა ცხვრის ფარა შემდგარა,—2000 სულამდინ! ეს ცხვარი, როგორც ამბობენ, აბარია თამარ მეფის ხატის უფროსს ხევის-ბერსა, მდიდარს ფშაველს—ნაკვეთაურსა. ფშავლები არ აჩენენ, რომ ხსენებული ცხვარი ხატისაა არ ჩამოგვართვანო, მხოლოდ დღეობაში რამდენსამე ცხვარს (ხატის ცხვრიდგან) დაჰკლავენ და საზოგადო „ალაპს“ გამართვენ იმ დროს, როდესაც მღვდელი იქ არ არის...

ხატებს აქვთ საკუთარი ვენახებიც კახეთში. ეს ვენახები შემოყოლილია იმ საზოგადოების საკუთრებად, რომელშიაც იმყოფება ხატი; მაგ., თამარ მეფისა და ლაშარის ვენახები უკანა-ფშავის საზოგადოების სახელზეა ნასყიდი... ღვინოსაც დღეობებისათვის მოიტანენ ხოლმე ფშავლები და უწოდებენ „კულუხრის ღვინოსა“...

ლუდსაც საზოგადო ხარჯით ჰხდიან ხევის-ბერები და დასტურები: ყოველი ფშაველი ვალდებულია თვითო ან ორი ლიტრა ხორბალი ან ქერი გარდიხადოს ლუდისათვის. გამოხდილს ლუდს დღეობაში საზოგადოდ მლოცავთ ასმევენ და თავის სარგებლობისათვის ხევის-ბერები ჰყიდიან კიდეცა... მე რამდენჯერმე დავლიე

*) „დროება“ № 101.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალ-დატანებითი თავის-გამართლება, ერთის სიტყვით არ დაამცირებს ის გამგეობის თავ-მოყვარეობით გრძნობას,—ეს იქნება თავის ნებითი, თავის ნება-ყოფლობითი თავის-გამართლება.

რას ამბობენ? რას იძახიან? რას აბრალებენ გამგეობის წევრთა? ამ შემთხვევაში ორი გამამტყუვნებელი მუხლი გამოაშკარავდა:

1) ქალაქის თავს ტყავის ქარხანა აქვსო, პირი აქვს იმას მეყასბეებთანაო, იაფად ტყავს აძლევენო და ისიც როგორც უნდათ, იმ ფასად აყიდვინებს ხორცსაო.

2) ქალაქის გამგეობის წევრებს პოდრიადები აქვთო და როგორც უნდათ, იმ ბაზრის ფასებს, მაზანდებს არდგენენ ხაზინაში პოდრიადებისთვისაო.

პირველი საგნის შესახებ ქალაქის თავს და იმის ამხანაგებს შეუძლიანთ გამოაცხადონ—თუ როგორ ჰყიდულობდნენ ისინი თავიანთ ქარხნისათვის ტყავს, როგორ ჰყიდულობენ ახლა, როგორ იყიდება საზოგადოთ სხვებზე ეს ტყავი და სხვ. და სხვ.

მეორე საგნის შესახებ, გამგეობას შეუძლია გამოაცხადოს—თუ როგორ და ვინ არდგენს ბაზრის მაზანდას (სპრავოჩნია ცენი) სხვა-და-სხვა საგნებზე, რა პოდრიადები აქვს გამგეობის წევრებს, რა ფასებს იღებენ ისინი ხაზინიდამ, რა ფასებით აქვთ სხვებს ამ გვარივე პოდრიადი აღებული და სხვ.

ამ გვარის საბუთებით ძალიან ადვილად და კარგათ შეიძლება ერთხელ-და-სამუდამოთ მოსპობა იმ ხმებისა, რომელიც ასე გავრცელებულია ქალაქის ხალხში.

მაგრამ, ვიმეორებთ, სულ უპასუხოთ, უყურადღებოთ დატოვება ამ ხმებისა არ შეიძლება, არ ვარგა არც თვითონ გამგეობისათვის და არც საზოგადოთ ქალაქის თვით-მმართველობის საქმისათვის...

---

## ახალი ამბები

გუშინდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი განკარგულება ბატ. თფილისის გუბერნატორისა:

„თფილისის ღუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი სთხოვს ყველა თოფით მონადირეებს ნუ ისვრიან თოფს იმ ადგილების მახლობლად, სადაც კალია იმყოფება, რადგან თოფის ხმა აშინებს ტარბს, რომელიც ხოცავს ამ მავნე ბუზანკალას. ამ გარემოებაზე სოფლის მცხოვრებლებისაგან, სამწუხაროდ, ხშირი საჩივარი მოგვდის. მაზრის ადმინისტრაციის მოხელეებმა ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ საცა კალიაა, იქ არავის ასროლინონ თოფი.“

ჩვენის აზრით, აქ თხოვნა კი არა, ფიცხელი ბრძანება და აღკრძალვა არის საჭირო და ჯარიმის დადება იმათთვის, ვინც ამ განკარგულებას გადასცდება. რამდენათაც ჩვენ ვიცით, ამ თვეებში (1 მარიამობის თვემდინ) თვით კანონისაგანაც აღკრძალულია ნადირობა ტყის ფრინველებზე. არა თუ მარტო ტარბი, სხვა ფრინველებიც ბლომად სჭამენ კალიას და ამიტომ ამ შემთხვევაში ამ გვარ აღკრძალვას უფრო მომეტებული მნიშვნელობა აქვს და უფრო სასტიკად უნდა ასრულებდნენ...

* * *

ზემოხსენებულსავე გაზეთში მოყვანილია, ვითომც ქუთაისის მახლობლად, სალორიის ტყეში გამოჩენილიყოს რაღაც ბუზანკალი, რომელიც საშინლად სჭამს მუხის ხეების ფოთლებსაო; ეს ბუზანკალი თფილისში გამოიკვლიეს და რკალი გამოდგაო.

არა გვგონია, რომ ეს ნამდვილი იყოს პირველად იმიტომ, რომ, რამდენათაც ჩვენ ვიცით, კალია საზოგადოთ ხის ფოთლებს არა სჭამს; მეორედ იმიტომ რომ სურამს იქით არც შარშან და არც არასოდეს კალია არ გადასულა და ახლა, ასე უეცრად, საიდამ გაჩნდებოდა.

მაგრამ ნამდვილიც რო იყოს ეს ამბავი, კალია იმერეთში, სინოტიოს გამო, ნამუშევარს ბევრს ვერაფერს დააკლებს და ეს საძაგელი ცხოველი იქითკენ ვერასოდეს ვერ გამრავლდება.

* * *

გორიდამ გვწერენ, რომ რამდენიმე დღის განმავალობაში ბატ. თფ. გუბერნატორის მოსვლამდინ და იმის აქ მყოფობის დროს ხალხს დუქნებს აკეტვინებდნენ და ყველანი, დედაკაცებიც კი მინდორში გადიოდნენ კალიის სახოცავათო; მაგრამ, რაკი გუბერნატორი წავიდა აქედამ და ტარბი მოვიდა, ხალხი სრულებით აღარ ზრუნავს ამ საქმეზედაო, სულ ყველაფერი ტარბს მიანდისო...

* * *

მეტეხის სატუსაღო ბიბლიოთეკისათვის მივიღეთ კიდევ შემდეგი წიგნები:

ექვთ. ხელაძისაგან: ყმაწ. სარკე—1 ეგზ., თ. გრ. ორბელიანის ლექსები—1, პატარა ლოცვანი—10, იმერლები თფილისში—10, ეთერიანი—1, ივ. კერესელიძის ლექსები—2, მგოსანი (ლექსები)—3, საქართველო დავარდნილია — 1, არითმეტიკული გამოცანები—5, 1879 წლის საქართველოს კალენდარი—2, ომიანობის ლექსნი—1, მირიანი (მოთხრ.)—2, საქართველოს მეფე ვახტანგ მეექვსე—1, ბატონიშვილის ირაკლის პირველი დრო (ტრაგ.)—1 ეგზ.;

ა. თ—საგან: მოთხრობანი (თარგმანი ქართველ ქალებისა)—1 ეგზ., სტეფენსონი—2;

ზაქ. ჭიჭინაძისაგან (ჩარკვიანის მაღაზ.) თ. გრ. ორბელიანის ლექსები, ექიმბაში (კომედია), ლექსთა-კრება, სტეფენსონი, იგავ-არაკნი, არსენას ლექსი, ომიანობის ლექსი, ქართული გამოცანაები, ფულის სიმღერა, სალამური, ნინო, ნ. ყარანგოზოვის ლექსები, ცოლი თუ გინდათ-ეს არი!, ქვრივის ლიმონები, ქალაქის მიწერ-მოწერა, სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, სურამის ციხე, ბექა-ნიანი, შუშანიკიანი, წმ. ქეთევანის წამება, ლოცვანი, გლოვა ირაკლი მეორისა, მირიან მეფე და წმ. ნინო, საქარ. მეფე ვახტანგ მეექვსე, ბაგრატ მეოთხე, ნ. ნიკოლაძის ნაწერი, 1880 წლის კალენდარი, ქართული კალენდარი 1880 წ.—სულ თითო ეგზემპლიარი.

ბალდასარ ბალდოევისაგან—6 მან. ტუსაღების ბიბლიოთეკის შესაწევნელად.

---

## „დროების“ კორრესპონდენცია

გორი. 10 მაისს დღეს, 10 მაისს დილით 8 საათზე მოხდა შემდეგი უბედურება: მე-41 არტილლერის ბრიგადის მე-2 ბატარეია მოჰყავდათ მთელი ბატარეის ცხენებით დოლლიაურში ბალახზედ გასაშვებათ. რომ მოვიდნენ ლიახვთან, სალდათებმა არ იცოდნენ ფონი, თუ სად შამოერეკნათ ცხენები. ბოლოს თავიანთ აზრით შემორეკეს იქ, სადაც შეერთებული და შევიწროებული ადგილი იყო. თვითონაც ზედ ისხდნენ. ადიდებულმა წყალმა ორი მინუტის განმავლობაში ცხენებიც და სალდათებიც შთანთქა ბევრი სულ აღარა ჩანდა წყალში და მიჰქონდა აღელვებულ ლიახვს, ზოგიერთს თავებიღა უჩანდათ და იმათ ყვირილს საცოდაობა ორ ვერსტზედ მოისმოდა.

ეს ამბავი მოხდა გორის მაზრაში ს. ოთარშნის პირ-და-პირ. ილ'ალი კიდევ სალდათებისა, რომ თურმე იმ

---

ლუდი; სასიამოვნო სასმელია; ბავარიის პივას არც კი დაუვარდება გემოთი... მარგებელიც თურმე ყოფილა...

ხევის-ბერების ხელშია აგრეთვე ხატების განძეულობა. სადა აქვთ შენახული—უცხო პირთათვის და თვით მღვდელთათვისაც საიდუმლოა. როდესაც საზოგადო ალაპი აქვთ, თურმე მაშინ მოიტანენ ნივთებსა და ვერცხლის ჭურჭლითა სმენ სასმელსა... ამ ჟამადაც მიაქვთ მლოცავთ ვერცხლის ნივთები და სწირავენ ხატებში, მაგრამ ხევის-ბერები ისე ოსტატურად იქცევიან, რომ მლოცავი მინამ მღვდლამდის მიაღწევს, ხევისბერი მიდის მლოცავთანა, ართმევს ნივთსა და ჰმალავს... წინად თურმე დიდს ვერცხლის კოკებსა და თუნგებს სწირავდნენ ხატებში.

ამ რამდენიმე წლის წინად ბევრი ვერცხლის ნივთები ჩაიტანეს ფშავ-ხევსურეთიდგან თფილისს, კანტორაში, და ფუთობით გაყიდეს! ფული არ ვიცი სად მიაქციეს... ვინ იცის რამდენი არხეოლოგიისათვის და ისტორიისათვის გამოსადეგი და ძვირფასი ნივთი გაიყიდა და სამუდამოდ დაიკარგა!..

ამ ჟამად ფშავ-ხევსურეთის ხატებში, განსვენებულის დეკანოზის შიო-იონინ-იოსებაძის აღწერილობით, 500 (ხუთასი) ვერცხლისა და 800 სპილენძის ძველი ნივთია! ძრიელ კარგი იქმნებოდა, რომ ეს ნივთები ჯერ მცოდნე კაცებს დაეშინჯათ და გამოსადეგნი შეეძინათ „ქართული მუზეუმისათვის.“ ურიგო არ იქმნება, ვგონებ, რომ „ტფილისის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებას“ გაეშინჯა ეს ნივთები მომავალის 1881 წლის არხეოლოგიურს კრებაზედ. თუ ხსენებულს ნივთებს დროზედ ჯეროვანი ყურადღება არ მიექცა, ამათაც ისე გაუგებრად და ჩუმათ გაჰყიდიან და დაჰკარგვენ, როგორც ამ ათითორმეტი წლის წინად ჰქნა ბლაღ. მღ. ი. საძაგელოვმა. თუ კანტორას გასყიდვა უნდა ძველის ნივთებისა, გამოაცხადოს,—იქნება თვით ქართველ საზოგადოებამ იყიდოს, მეტადრე ეხლა, როდესაც ტფილისში „ქართულის მუზეუმის“ დაარსებას აპირებენ... დარწმუნებული ვარ, რომ ხსენებულ ნივთთა შორის ბევრი და ძალიან ბევრიც იქნება საქართველოს ისტორიისა და არხეოლოგიისათვის გამოსადეგი.

გადვიდეთ ლაშარის მლოცავებზედ. ლაშარის მლოცავთ შეადგენენ: ქართველნი, მთიულნი, თუშნი, ხევსურნი, ქისტნი და ფშავლებზედ ხომ რაღა ჩიჩინი უნდა! პირველს დღეს ლაშარში ქისტები უფრო ბევრნი იყვნენ ფშავლებზედა.

ლაშრობა მცხეთობას მიემსგავსება: რიგი მიდის, რიგიც მოდის. ეს იმიტომ, რომ ამ ხანებში ორის კვირის განმავლობაში სულ დღეობებია და სხვა-და-სხვა ხატებისა: ლაშრობა, თამარ-მეფობა, გორის-ჯვარი, წყაროს-თავი, კოტია, იახსარი, კოპალე, გუდანის-ჯვარი, ხახმატი და სხვები... სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 2,000 ცხვარი და 100 კურატი მაინც დაიკლება ხსენებულს ხატებში! „ლაშრობა“ გრძელდება სამს დღეს, ხოლო მეოთხე დღეს „თამარ-მეფეში“ გადადიან. (ერთმანერთს გასცქერიან ლაშარის ჯვარი და თამარ-მეფე. შუაში არაგვი ჩამოუდის. მარჯვენა მთის კალთაზე—ლაშარია, მარცხენა მთის კალთაზე—თამარ-მეფე. სივრცე ამ ხატების შორის ორი ვერსი ძლივს იქნება).

დღეობაში თითქმის ყველა ახალგაზდას თავისი „წაწალიც“ თანა ჰყავს. „წაწალი“ ვითომ დობილია, მაგრამ საყვარლობას— მიჯნურობას ასრულებს. „წაწლობა“ ფრიად გახშირებულია ფშავის ახალგაზდობაში. ის ფშავლის ქალი დასაძრახისია, ფშავლების აზრით, რომელსაც რამდენიმე ან ერთი წაწალი მაინც არა ჰყავს! წინააღმდეგ ამისა, რომელს გასათხოვარს ქალსაც უფრო ბევრი წაწლები ჰყავს, უფრო ბედნიერია! ვითომ დედმამ დაუშალოს-თუ! შენ არ მომიკვდე! მშობლები უფრო აქეზებენ და ახალისებენ!..

დროს თ. კოსტანტინე ამილახვარი ბალკონზედ მდგარა რომ დაუნახავს სალდათების ისეთი უბედურობა, მაშინვე შექმნა თურმე ერთი ყვირილი დაუძახა თავის მოსამსახურეებს? რომელნიც უფრო დახელოვნებულნი იყვნენ ამ ლიახვში, ხალხი დაიღუპა, ჩქარა მიშველეთო! ხელათ გამოიყვანეს ბიჭებმა ტიტველა ცხენები, შესხდნენ ბიჭებიც და ხსენებული ამილახვარიც საჩქაროთ მიეშველნენ სალდათებს.

ბევრი გარიყული სალდათები გამოზიდეს და მოაბრუნეს, მხოლოთ ერიმსხვერპლა აღელვებულმა წყალმა; ბოლოს ესეც გამოიტანეს, ბევრი თავ-და-ყირა ატრიალეს, მაგრამ ველარა გააწყვეს-რა და წაიღეს დამღრჩვალი.

თუ ხსენებული ამილახვარი არ შესწრობოდა ამ შემთხვევაში თქვენი მტერი, რომ ბევრი სალდათი დაიღრჩვებოდა.

ბატარიმას უჩვენეს სადაც კარგი ფონი იყო და უვნებლათ გამოვიდნენ.

---

**სოფ. კარდანახი**, 7 მაისს. დღეს მოხდა აქ ისეთი ამბავი, რომელმაც ყველანი თითქმის ცხარე ცრემლით ატირა. დღევანდელმა დღემ დაუკარგა საწყალს, დამშეულს ქიზიყის ხალხს ის იმედი, რომელსაც ჰპირდებოდა მას წლევანდელი გაზაფხული. ზვეწვია სეტყვა, რომელმაც იმსხვერპლა მთელ შემოდგომაზედ, ზამთარში და გაზაფხულზედ ბედკრულის გლეხისაგან დაღვრილი ოფლი!

ზუშინდელი მშვენიერი თავ-თავებ წასხმული ყანები და დამზადებული ვენახები დღეს წარმოგიდგენენ ისეთს სამწუხარო სურათს, რომლის მაცქერალი, რაც უნდა გულ-ქვავი იყოს, უთუოდ შეწუხდება.

ნახევარი საათის განმავლობაში საშინელი ქარი და სასტიკი, შეუბრალებელი სეტყვა დაუნდობლად სცემდნენ გაზაფხულის მწვანე სამოსელს, რომელშიაც საბრალო გლეხის თავის ბედ—იღბალს ჰხედავდა! ზამოევესალმეთ პირველს და უკანასკნელს იმედს.

იქონიეთ მხედველობაში, რომ, თუმცა ეხლაც, მაგრამ განსაკუთრებით მომავალს წელში ქიზიყს დიდი შიმშილი მოელის. მართალია, ზოგი სოფლებიენასამედათ ნახევრათ ზადურჩა სეტყვას. მაგრამ ეს ბევრს ვერას გაათეთრებს; და რაც დარჩა ისიც ჩვენათ არ გვეგულება: ხვალ, ხვალზევით ან სეტყვა, ან კალია იმ დანარჩენსაც ბოლოს მოუღებს, ეხლანდელი დარები თამამად გვაფიქრებინებენ ამას.

კალიისაგან აკლებისა გვეშინოდა, ხალხს ერეკებოდნენ და ერეკებიან კიდეც საიდამ სად იმის გასაწყვეტად; მაგრამ მე კი არა მგონია იმის კლანჭებს ბევრი რამ დაახწიონ. მე თვითონ დავესწარ ივრის ხეობაში სოფლელლებსა და კალიას შუა გაცხარებულს ომს და, სწორე მოგახსენო, საშინლად გამაკვირვამტრის სიმრავლემ: ერთ ნაოცალს ძლივა ხოცენ.

ეხლა მაინც შეიბრალონ ჩვენი მხარე და რითიმე უშველონ. აი გლეხის სიტყვები:

„მთელი წელიწადი, თორმეტი თვე, ვიწვით და ვიდაგვით და ეგე, თურმე რისთვის და ვისთვის გვიშრომნია! რითი უნდა ვემსახუროთ ღმერთს, ხელმწიფეს, ღვდელს, სომეხს, მოვალეებს, მკვდარს, ცოცხალს, სასოფლო ბეგარას, კალიას და სეტყვას! რითი უნდა ვირჩინოთ თავები! საცაა ფოშტის ფულს დაიძახებენ და რა უნდა მივსცე, რომ ფული არა მაქვს და მოსავალსაც ვერ ვხედავ!

აქამდისინ ფუთი ფქვილი (შავი პური) სამ მანეთად იყო, ეხლა ოთხი მანეთია და იქნება ხუთი,—ექვსი მანეთიც გახდეს, ვინ იცის. რომ არც კი იშოვება: სიღნაღში ამ ერთი კვირის წინათ ერთი ჯამი ფქვილი არ იყო. ერთი სიტყვით, ყოველ-გვარ იმედ—მოკლებული გლეხი დიდის დარეტიანებული და თვითონაც არ იცის კარგად—რაზედ ფიქრობს.

„დროების“ № 86—ში, სხვათა შორის, მოხსენებული იყო ბაკურციხელი კორრესპონდენტის წერილში, რომ სოფ. ბაკურციხეში მეორე გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის დაარსება განიზრახა თ. რევაზ ვაჩნაძემაო. დიდი მადლობელნი დავრჩით იმ კორრესპოდენტისა და თ. რევაზ ვაჩნაძისა: ვფიქრობდით, რომ დღედღეზედ კარდანახის ამხანაგობას მოძმე შეეძინება და ისინი ძმურად, მკლავი-მკლავ გაყრილნი შეუდგებიან კეთილ საქმესაო. მაგრამ იმედმა მოგვატყუა. დარჩა ისევ მარტო ჩვენი ამხანაგობა და ის პატიოსანი გვამი კი ილლიაში ამოჩრილ თავის განზრახვით.

კარდანასელი

---

### წერილი რედაქტორთან

ამ უკანასკნელ დღეებში ერთობ მოიფინა ჩვენს უმისოთაც პორიან ზორში ამბავი, რომელსაც იძულებული ვარ მივაქციო ყურადღება.

საქმე მდგომარეობს იმაში, რომ, ზოგიერთი „ბოროტი ენის“ წყალობით, გავარდა ხმა, ვითომ „დროების“ № 71 და, განსაკუთრებით № 77 ფელტონი „ხმა პროვინციიდამ“ ავტორი მე ვიყო.

უმორჩილესათ ვსთხოვ „დროების“ რედაქციას, გამოაცხადოს „დროების“ მახლობელ №-ში, რომ ამ ფელტონის ავტორი მე არა ვარ. ამასთანავე სიმართლეც და მოვალეობაც მიწვევს, მოვახსენო იმ „კაპელანს“, რომ, თუ ვაძლევ პასუხს ამ გარემოებაზე, მისთვის კი არა, ვითომ მე ან მისი მეშინოდეს, ან და რათმე ვრაცხდე მას;—არა—მე მხოლოთ მსურს თქვენი პატივცემული გაზეთის შემწეობით აღვადგინო ჭეშმარიტება, რომ სხვები არ შესცდენ, არ მოსტყუვდენ მაგ „ტვინით მესსალინების“ მცბიერი ენით. ვურჩევთ „წმინდის ზედაშითა სავსესა ემბაზისა შინა განწმედილსა და განსპეტაკებულსა“, თავი დაანებოს ამ გვარ მზვერავულ ქცევას, თორემ ბევრი რამ გამოჩნდება მის ცხოვრებაში ისეთი, რომლის გამოაშკარება, დარწმუნებული ვარ, სანანებლათ დაურჩება ბოლოს, მაგრამ გვიან-ღა იქნება. ფაქტები აუარებელია, მხოლოთ დროს უცდის *).

გორის სამასწავლებლო სემინარიის მასწავლებელი
არ. ქუთათელაძე.

6 მაისი, გორი.

---

*) ვაცხადებთ და ხელს ვაწერთ, რომ ბატ. არ. ქუთათელაძეს არც ის ხსენებული ფელტონები ეკუთვნის და არც საზოგადოთ გორიდამ სრულებით არაფერი არ დაუწერია იმას ჩვენს გაზეთში.

რედ.

---

აი რაში მდგომარეობს წაწლობა: ვსთქვათ, ბიჭსა და გოგოს ერთმანერთი მოეწონათ; ისინი არაყში ჩასთლიან ანუ ჩაფხეკენ ვერცხლსა, დალევენ და წაწლობა შეკრულია! ღამე მივა თუ დღე წიწალი (ვაჟი) თავის წაწალთან (ქალთან), დედ-მამაც რომ შინ იყოს, ნება აქვსთ ერთად წოლისა. რამდენი ვნახე ლაშარში დედ-მამის გვერდით ნაბადში გახვეული წაწლები!.. ერთის სიტყვით, ფშავში „ქალწული ქალი“ იშვიათად გათხოვდება *). უნდა ნახოთ რა თავი მოაქვსთ ვაჟ-წაწლებს თავის ქალწაწლებთანა. ვის შეუძლიან თუნდ ერთის სიტყვითაც შეურაცხ-ჰყოს ვაჟის წაწალი-ქალი! სიცოცხლეს არ დაიშურებს ვაჟი იმისათვისა!

წაწლებთა შორის დამოკიდებულება კაცს მოაგონებს საშუალო საუკუნოების რაინდებსა თავის მიჯნურებითათურთ..: ვინ მოსთვლის, რამდენი ჩხუბი მოხდა ლაშარში იმისათვის, რომ ერთმა ბიჭმა უთხრა მეორეს წაწალთან: „ჩემი წაწალაი ჰსჯობს შენს წაწალას“...

ჩხუბის დროს ყველა ახალგაზდა ფშაველი სცდილობს თავი მოაწონოს თავის წაწალსა, რომელნიც ღიმილით უცქერიან ჩხუბსა. შეიქნება ერთი ცემა-ტყეპა საცერულიანის მუშტებითა, მავთულ-დახვეულის მათრახებითა. რამდენს თავი გაუტყდება, ვინ იცის!

ამ გვარის ჩხუბის შემდეგ მოჩხუბარნი ისევ ერთად სხედან წაწალთ შორის, ერთად მღერიან, ერთად სმენ და ერთად შეექცევიან...

აგერ მეორე ჩხუბიც, რომელშიაც მოელვარე ხანჯალს ატრიალებენ. ეს ჩხუბი ქისტებსა და ფშაველთ შორის არის. ერთი შეჰხედეთ მშვენიერს ქისტის ქალებსა, როგორის წივილ-კივილით, მაგრამ მამაცურად დატრიალებენ ჩხუბში და აშოშმანებენ გამგელებულს თავის ქმარ-ნათესავებსა!

მშვენიერნი არიან მართლად ქისტისა და ფშავლის ქალები! კალამი ვერ გამოჰხატავს მათს მშვენმერების ეშხით სავსეს პირის სახესა! რაც უნდა გულ-ქვა, უგრძნობელი იყოს კაცი, თუნდ სასაცილო ცინიკი დიოგენიც იყო, თუ გინდ პეტრე ამიელიც, მაინც ფშავ-ქისტის ქალების ეშხს ვერ გაუძლებ; მათს დანახვაზედ სიყვარული აღგეგზნება გულში; გული ცემას, ბაგა-ბუგს დაგიწყებს!.. თვალებით ჩაგყლაპავთ ქისტის და ფშავლის ქალი!..

ფიზიოლოგი ციმმერმანი ამბობს:

„ამბობენ, ქართლის ქალისთანა მშვენიერის აგებულებისა, მოსულობისა და სახიერებისა მთელის ქვეყანაზედ არ მოიპოებაო...“

და იქვე წარმოგვიდგენს შიშველის ქართვლის ქალის სურათსა. ბატ. ციმმერმანებმა ფშავ-ქისტების ქალები ნახონ დააკვირდნენ მათის სახის გამომეტყველებასა, მათს ნაზს, მაგრამ გმირულს სახესა და მაშინ დარწმუნდებიან, კავკასიის მთებში, იმ მთებში, რომლის მცხოვრებთ „ველურს ხალხს“ უწოდებენ, როგორი მშვენიერი, შეუდარებელი ხალხი ჰცხოვრებს!..

დიახ, აქ, კავკასიის მთებშია დარჩომილი უწინდელი ქართვლის ტიპი! და თუ ზოგიერთნი ამტკიცებენ, ამაზონკები კავკასიაში სცხოვრებენო—საკვირველი არ არის და არც გაუკვირდება ფშავ-ქისტების ქალების მნახველსა...

(შემდეგი იქნება)

---

*) თუმცა ფშავში ასე გახშირებულია წაწლობა, მაგრამ იქ „უკანონო“ შვილის ყოლა ძრიელ, ძრიელ იშვიათია. ცოლიანს ფშაველს მხოლოდ მაშინ ეყოლება შვილი, როდესაც თვითონა ჰსურს... ეს ფრიად ცუდი ჩვეულებაა, რადგანაც ფშავლები ამ სახით აყენებენ თვისის ტომის გამრავლებასა. უსასტიკი ყურადღება უნდა მიექცეს ამ ჩვეულების ამოკვეთისათვის მღვდლებისაგან და საზოგადოდ ვისგანაც ჯერ არს...

# განცხადება

# თფილისის სააღგილ-მამულო ბანკისაგან

თფილისის თავად-აზნაურობის სააღგილ-მამულო ბანკი უზენაესად დამტკიცებულის თავის წესდების § 16 ძალით აცხადებს, რომ 11 იენისს 1880 წელს 12 საათზე თფილისში, ბანკის სადგომში სოლოლაკის ქუჩაზე ნ. ყორღანოვის სახლში № 3, მოხდება საზოგადო გასყიდვა განუმეორებლად ქვემო მოხსენებული პირების მამულებისა, რომელთაც არ შემოუტანიათ თავის დროზე ხვედრი გადასახადი ბანკის წესდების §§ 29, 30, 34 და 36 დადგენილი.

**ანდრონიკაშვილი**, რევაზ ივანეს-ძე. სამ-სართულიანი ქვის სახლი მეზონინით და სარდაფით 612 ოთხ-კუთხი საჟ. მიწითურთ ქ. ტფილისის 1 განყოფილებაში 2 ნაწილში, საპიორის ქუჩაზე. თავნი ვალი 12,118 მან. 26 კაპ. გადასახდელი (ნედოიმკა) 1083 მან. 77 კ. სულ ცამეტი ათას ორას ორი მანეთი და სამი კაპ.

**კაზანაძე**, ანდრია ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი ყოველ ნაირ კუთვნილებითურთ და მიწით 60 ოთხ-კუთხი საჟ. ზომისა, 1 განყოფილებაში ქ. ტფილისისა № 271, თავნი ვალი 2,924 მან. 87 კაპ. გადასახდელი 169 მან. 64 კაპ. სულ სამი ათას ოთხმოც-და-ოთხი მანეთი ორმოცდა-თერთმეტი კაპ.

**საფროնოვი**, ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე. ერთ-სართულიანი სახლი მიწითურთ 146 ოთხ-კუთხ. საჟ. ზომისა, 16 ნაწილში 2 განყოფილებაში, ქ. ტფილისში. თავნი ვალი 548 მან. 49 კაპ. გადასახდელი 55 მან. 40 კ. სულ ექვსას სამი მანეთი, ოთხმოც-და-სამი კაპ.

**ხანდამოვი**, მირონ ფრიდონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიწითურთ $54^{65}/_{100}$ ოთხ-კუთხ. საჟენ. 1 განყოფილების 2 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 3,656 მან. 8 კაპ. გადასახდელი 262 მან 18 კაპ. სულ სამი ათას ცხრაას თვრამეტი მანეთი და ოც-და-ექვსი კაპ.

**ბურდულოვი**, ალექსანდრე სოლომონის-ძე. ორი დუქანი მიწითურთ 600 ოთხ-კუთხ. საჟ. 2 განყოფ. 11 ნაწილში, ქ. ტფილისში, თავნი ვალი 2,771 მან. 43 კაპ. გადასახდელი 193 მან. 23 კაპ. სულ ორი ათას ცხრაას სამოც-და-ოთხი მანეთი სამოც-და-ექვსი კაპ.

**ერისთვისა**, ივლიტე დიმიტრის ასული. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიწითურთ ზომით 500 ოთხ-კუთხ. საჟ. ტფილისის გუბერნიაში ქ. გორში მთავარ ქუჩაზე. თავნი ვალი 9,238 მან. 7 კაპ. გადასახდელი 573 მან. 3 კაპ. სულ ცხრა ათას რვაას თერთმეტი მანეთი და ორი შაური.

**სულხანოვისა**, მარიამ ივანეს-ძე. ა) ერთ-სართულიანი ქვის დუქანი ბალაგანითურთ, ბ) ორი სამ-სართულიანი ქვის დუქანი, ორი ორ-სართულიანი ქვის დუქანი გ) თერთმეტი თითო სართულიანი ქვის დუქნები 276 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით ქ. ტფილისში ა) 1 განყოფილების 7 ნაწილში და ბ) 2 განყოფილების 14 ნაწილში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 16,628 მან. 53 კაპ. გადასახდელი 1,667 მან. 45 კაპ. სულ თვრამეტი ათას ორას ოთხმოცდა-თუთხმეტი მანეთი და ოთხმოც-და-თვრამეტი კაპ.

**სლიჩკო**, ანნა ივანეს ასული. ორი ორ-სართულიანი ქვის სახლი $111^{1}/_{2}$ ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, 2 განყოფილების 11 ნაწილში, ქ. ტფილისში ელისაბედის ქუჩაზე. თავნი ვალი 18,476 მან. 14 კაპ. გადასახდელი 1,680 მან. და ორი შაური. სულ ოცი ათასი ას ორმოც-და-თექვსმეტი მანეთი და ოც-და-ოთხი კაპ.

**ჭრელაშვილი**, გრიგოლ დავითის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი ბაღით 4 დესეტინა მიწით. 2 განყოფ. 16 ნაწილში ქ. ტფილისში ნავთლუღში. თავნი ვალი 1847 მან. 63 კ. გადასახდელი 177 მან. 37 კ. სულ ორი ათას ოც-და-ხუთი მან.

**ჭიჭინაძე**, ეგნატე ნიკოლოზის-ძე. რამდენიმე თითო სართულიანი სახლი 115 ოთხ-კუთხი საჟ. მიწითურთ 1 განყოფ. 1 ნაწილში ქ. ტფილისში მთა-წმინდის ძირს. თავნი ვალი 652 მან. 68 კაპ. გადასახდელი 50 მან. 36 კაპ. სულ შვიდას სამი მან. და ორი აბაზი.

**ჰაგლიევი**, იაკობ სიმონის-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი 72 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით. 1 განყოფ. 5 ნაწილში ქ. ტფილისში, ნემეცის ქუჩაზე. თავნი ვალი 5,593 მან. 48 კაპ. გადასახდელი 549 მან. 44 კაპ. სულ ექვსი ათას ას ორმოც-და-ორი მანეთი და ოთხმოც-და-თორმეტი კაპ.

**ლაზარევი**, დარჩო არუთინის-ძე. ერთ-სართულიანი ქვის სახლი 140 ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით 1 განყოფილების 12 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 471 მან. 26 კაპ. გადასახდელი 47 მან. 81 კ. სულ ხუთას ცხრამეტი მან. და შვიდი კაპ.

**ამატუნი**, ნაპოლეონ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვის სახლი მიშენებულ შენობებით $578^{79}/_{100}$ ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით, 1 განყოფ. 4 ნაწილში ქ. ტფილისში ბელიამინის ქუჩაზე. თავნი ვალი 62,015 მ. 87 კ. გადასახდელი 3,107 მან. 96 კაპ. სულ 65,123 მ. და 83 კაპ.

**სლიჩკო**, ეკატირინე ივანეს ასული. სამ-სართულიანი ქვის სახლი მიშენებულ შენობებით და ფლიგელით $313^{3}/_{4}$ ოთხ-კუთხ. საჟ. მიწით 1 განყოფ. 1 მიხაილის განყოფილებაში ქ. ტფილისში. თავნი ვალი 26,152 მ. 82 კ. გადასახდელი 4,327 მ. 44 კ. სულ ოც-და-ათი ათას ოთხმოცი მან. და ოც-და-ექვსი კაპ.

**ფუდინოვი**, ისაკ ნიკიტის-ძე. ორი სამ-სართულიანი სახლი ორი სამ-სართულიანი ფლიგელით 156 ოთხ-კუთხი საჟ. და 7 ოთხ-კუთხი ადლი მიწით 1 განყოფ. 6 ნაწილში ქ. ტფილისში პარალელნის და საზნეულო ქუჩების კუთხეში. თავნი ვალი 17,435 მან. 21 კ. გადასახდელი 891 მან. 80 კაპ. სულ თვრამეტი ათას სამას ოც-და-შვიდი მან. და თერთმეტი კაპ.

**მეხტიევი**, სადიყ-ასკარ-ოღლი. ორ-სართულიანი სახლი ერთ-სართულიან მიშენებულ შენობით 547 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით 1 განყოფილების 9 ნაწილში ქ. ტფილისში. თავნი ვალი ათას ორას ორმოც-და-ათი მანეთი და ერთი შაური.

**ალექსეევ-მესხიევი**, მიხეილ დიმიტრის-ძე. სამი ნაწილი ზომით 178 დესეტინა 840 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე სოფ. ახალდაბას. თავნი ვალი 3,935 მ. 31 კაპ. გადასახდელი 186 მ. 60 კ. სულ ოთხი ათას ას ოც-და-ერთი მანეთი და სამი აბაზი.

**ერისთავი**, გიორგი გიორგის-ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები ზომით 243 დესეტინა 1,262 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ქისტაურში. თავნი ვალი 7,870 მ. 63 კ. გადასახდელი 356 მ. 20 კ. სულ რვა ათას ორას ოც-და-ექვსი მანეთი და ოთხმოც-და-სამი კაპეიკი.

**ავალიშვილი**, ივანე ზაალის-ძე. სახნავი და სამოსახლო ადგილები ზომით 151 დესეტინა 300 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფელს ბრეთში. თავნი ვალი 8,880 მ. 54 კ. გადასახდელი 398 მ. 60 კ. სულ ცხრა ათას ორას სამოც-და-თვრამეტი მანეთი და თოთხმეტი კაპეიკი.

**მაღალაშვილისა**, მარიამ დიმიტრის ასული. სახნავი, საძოვარი და სათიბი ადგილები ზომით 2,867 დესეტინა 562 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნ. და მაზრაშივე შემდეგ სახელ-წოდებით: სადახლო, ჰონქყანი, ქვემოცათი, თახნი-ქიმცა, არაბამალა, პალან-ტაკიან, გოლითადა-ხუჯაბა, ლიალვარიის საძოვრები, ხუდი-ბანა, არადათალის და გულიბალის აგარები. თავნი ვალი 49,477 მან. 5 კ. გადასახდელი 3,313 მ. 60 კ. სულ ორმოც-და-თორმეტი ათას შვიდას ოთხმოც-და-ათი მან. და 65 კაპ.

**ციციშვილი**, კირილე ელიზბარიძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 847 დესეტინა 600 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. და მაზრაშივე სოფ. ახნილალუ (იგივე მაშაი). თავნი ვალი 15,832 მ. 65 კაპ. გადასახდელი 804 მან. სულ თექვსმეტი ათასი ექვსას ოც-და-ჩვიდმეტი მან. 19 კაპეიკი.

**ჯამბაკურიან-ორბელიანი**, ალექსანდრე ივანეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები ზომით 2,189 დესეტ. 1,987 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში და მაზრაშივე წილანაურის, ქისალარის და ბაშკიჩეთის აგარებში. თავნი ვალი 34,729 მ. 55 კაპ. გადასახდელი 1,499 მ. სულ ოც-და-თექვსმეტი ათასი ორას ოც-და-რვა მანეთი თერთმეტი შაური.

**ქუთათელაძე**, მართა უაფლანის ასული. ტყე ზომით 203 დესეტ. 400 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბ. თელავის მაზრ. ზემო-ხოდაშენის აგარაში თავნი ვალი 994 მ. 93 კაპ. გადასახდელი 59 მ. 40 კაპ. სულ ათას ორმოც-და-თოთხმეტი მან. ოც-და-ცამეტი კაპ.

**ერისთავი**, გრიგოლ პავლეს ძე. სახნავი და საძოვარი ადგილები და ტყე ზომით 422 დესეტინა 1160 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში სოფ. გვარებში. თავნი ვალი 3,979 მ. 30 კაპ. გადასახდელი 186 მ. 60 კ. სულ ოთხი ათას ას სამოც-და-ექვსი მან. 30 კაპ.

**საგინოვი**, მიხეილ პაატასძე. სახნავი მიწა და ტყე, სიგრძით 2,052 დესიატინა 448 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში სოფ. ზემო-ხოდაშენში, ახალ-დაბაში და ახმაანში. თავნი ვალი 13,799 მან. 38 კაპ. გადასახდელი ფული 522 მან. 8 კაპ. სულ თოთხმეტი ათასი სამას ოთხმოც-და-თერთმეტი მანეთი 46 კაპ.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ 14 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი